

გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა მსოფლიოს ხალხთა და კერძოდ საქართველოს ისტორიაზე, პოლიტიკურ ძლიერებასა და დემოგრაფიაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზაზა წიქორიძე

ქართველი მკითხველისათვის ალბათ საინტერესოა იმ მიზეზებში გარკვევა, თუ რატომ იყო საქართველო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუდამ მცირერიცხოვანი. რატომ ვერ მოვახერხეთ ჩვენც ისეთი დიდი იმპერიის შექმნა როგორც ზოგიერთმა სხვა ხალხმა? რატომ იყო საქართველო ხშირად უცხოელების მიერ დაპყრობილი? რა იყო ამის მიზეზი? ქართველთა უუნარობა, თუ არსებობდა რაიმე ხელის შემშლელი ობიექტური მიზეზი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კარგ სამსახურს გაგვიწევს მსოფლიო ისტორიის უმთავრესი მომენტების და მსოფლიო მასშტაბის იმპერიების წარმოშობისა და დაცემის მიზეზებში გარკვევა. ამ ნაშრომში ისეთ დეტალებზე, რომელიც ქვეყნებს შორის მხოლოდ საზღვრების შეცვლას იწვევდა და მსოფლიო რუქაზე გლობალურ გავლენას არ ახდენა, ყურადღებას არ გავამახვილებთ. ქვემოთ დავინახავთ, რომ მსოფლიო მასშტაბის იმპერიის შექმნას ახერხებდა ის ხალხი, რომელიც გარკვეული პერიოდი ხელსაყრელ საგარეო ვითარებაში ცხოვრობდა, რაც უფრო დიდ ხანს გრძელდებოდა ეს ხელსაყრელი ვითარება, მით მეტი შანსი ჰქონდა ამ ხალხს გაძლიერებულიყო. ასეთი ხელსაყრელი საგარეო ვითარება კი ხშირად იმ ხალხს ექმნებოდა, ვინც თავისი დროის ცივილიზებული სამყაროს პერიფერიაზე ცხოვრობდა, რომლებიც არ იყვნენ შეწუხებული უცხო ტომელთა გაუთავებელი თარეშით და რაც უფრო მნიშვნელოვანია, უცხოელთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობით. ცივილიზებული სამყაროს ცენტრში მცხოვრებ ხალხს, კი თავი ჰქონდა გაბეზრებული პერიფერიებიდან შემოჭრილი ბარბაროსული ტომების ლაშქრობებით, თუ მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლით, რაც მათ გაძლიერებისა და ძალების მოკრეფის საშუალებას არ აძლევდა. ამას თვალნათლივ დავინახავთ თუკი მსოფლიოს რუქებს ძვ.წ. მე-3 ათასწლეულიდან მოყოლებული დღემდე ქრონოლოგიურად დავაღვავებთ და დავაკვირდებით.

ცივილიზებული სამყაროს მიმართ პერიფერიული მდებარეობის გარდა, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, გარკვეული ხელის შემწყოები ფაქტორი უნდა ყოფილიყო ამ ხალხების ცივილიზებულ სამყაროსთან სიახლოვე და მათთან კავშირი. როგორც ჩანს, ერთდროულად ცივილიზაციის სიახლოვე და მისი პერიფერიაზე ყოფნა ხელსაყრელი

პირობაა ამ ქვეყნების გაძლიერებისათვის. თუმცა ეს არ არის მათი გაძლიერების საკმარისი პირობა. გარდა ამისა, ეროვნულ ტრადიციებს, კულტურას, რელიგიას და როგორც ახლა ამბობენ, ცივილიზაციურ რესურს აქვს დიდი მნიშვნელობა სხვა ფაქტორებთან ერთად¹.

ცივილიზაციის ცენტრის სიახლოვე, პერიფერიაზე მცხოვრებ ხალხებს საშუალებას აძლევდა ზიარებოდნენ იმ დროის უახლეს ცოდნას, გამოცდილებას და ტექნოლოგიებს. შეეძლოთ იგი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ გარეშე მტრებისაგან ზედმეტი შეწუხების გარეშე და მოძლიერებულიყვნენ, უპირველეს ყოვლისა დემოგრაფიულად, რადგანაც უახლესი მიღწევების გადმოღება აუმაჯობესებდა ცხოვრების პირობებს. ეს იწვევდა სიკვდილიანობის შემცირებას და გამრავლებას, ეს კი მაშინდელ სამყაროში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო სამხედრო და შემდეგ პოლიტიკური სიძლიერის გზაზე. გაძლიერების შემდეგ ისინი ცდილობდნენ, რომ უფრო მდიდარი და უკეთესი მიწები ჩაეგდოთ ხელში. დემოგრაფიულ სიძლიერეს ტერიტორიების ერთგვაროვნებაც უწყობდა ხელს. როგორც ცნობილია მთიანი და ხეობიანი ტერიტორია იწვევს ეთნოსების დაშლას, რადგანაც სუსტდება კავშირები მონათესავე ტომებთან. ერთგვაროვან ტერიტორიაზე კი კავშირები უფრო მტკიცეა. ამიტომ დემოგრაფიული და შემდეგ პოლიტიკურად გაძლიერების მეტი შანსი ჰქონდა იმ ხალხს, რომელიც ფართო, ვაკე ადგილებში, სტეპებში, თუ უდაბნოებში ცხოვრობდა.

მსოფლიო ისტორიის შესწავლისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ბარბაროსები ანგრევენ ძველ ცივილიზაციებს და თითქოს აფერხებენ განვითარებას. რეალურად კი ისინი ზრდიან ცივილიზაციის საზღვრებს და სულ უფრო მეტ არეალზე ავრცელებენ იმ დროისათვის მოწინავე ცხოვრების წესს. შემდეგ სხვა ხალხი აღმოჩნდება გაფართოებული ცივილიზაციის პერიფერიაზე, ისარგებლებს ამით, გაძლიერდება და იწყებს მისთვის უფრო მდიდარი და სანუკვარი ძველი ცივილიზებული სამყაროს დაპყრობას.

ამ გრძელი წინასწარი განხილვის შემდეგ დავუბრუნდეთ მსოფლიოს რუკას და ვნახოთ მტკიცდება თუ არა ჩვენი მოსაზრება ისტორიით.

ცნობილია, რომ ცივილიზაციის აკვნად ითვლება შუამდინარეთი (მესოპოტამია, ბაბილონი), სადაც ძვ.წ. მე-3 ათასწლეულში აღმოცენდა მიწათმოქმედება, თითქმის იმავე დროს ჩაისახა მიწათმოქმედება ნილოსის შესართავთან და ცოტა მოგვიანებით ჩინეთში ხუანხეს ნაპირებზე. მზე, სარწყავი წყალი და შლამიანი ნიადაგი ხელს უწყობდა ამ ადგილებში მიწათმოქმედების განვითარებას².

შუამდინარეთში ჩამოყალიბდა და დაწინაურებული მიწათმოქმედების გამო, გაძლიერდა ბაბილონის სამეფო. მოგვიანებით იგი შეავიწროვა მის პერიფერიაზე მყოფმა ასურეთმა, რომლის საზღვრებმაც ძვ.წ. მე-8 საუკუნეში ხმელთაშუა ზღვას მიაღწია³ (იხ. დანართი 1). ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზევე მდებარეობდა ეგვიპტის

სამეფოც. ასე, რომ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან ჩაისახა ცივილიზაციის ორი კერა. თითქმის იმავე დროს გაჩნდა ცივილიზაციის მესამე კერაც ჩინეთში.

- 1) ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნივცევი „მსოფლიო ეკონომიკა“, ტ.1., თბილისი, 2004. გვ.287
- 2) ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნივცევი „მსოფლიო ეკონომიკა“, ტ. 2. თბილისი, 2004. გვ.170
- 3) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუკა 3.

ძვ.წ მე-15 საუკუნიდან წინა აზიაში გაძლიერდა ხეთების სამეფო. მას თავიდან ამ ცივილიზაციების მიმართ პერიფერიული მდებარეობა ეკავა, ხოლო ამ ქვეყნების გაფართოების შემდეგ, კი იმ დროისათვის მაღალ განვითარებული ქვეყნების შუაში მოექცა და შედარებით უფრო ადრე დაიშალა. რადგანაც შუა მდებარეობა ზრდის მეზობლებთან კონფლიქტების რიცხვს, რაც შუა მდებარე ქვეყანას ასუსტებს.

როგორც უკვე ვთქვით, თავდაპირველად მსოფლიოში ჩამოყალიბდა სამი ცივილიზაციის ცენტრი, რომელთაგან ორის საზღვარი, უკვე ძვ.წ. პირველ ათასწლეულში, ხმელთაშუა ზღვასთან გადის, ეგვიპტისა და შუამდინარეთის სახელმწიფოების სახით.

ამ პერიოდიდან იწყება ის უმნიშვნელოვანესი პროცესები, რამაც გამოიწვია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხების, სხვა ხალხებთან შედარებით, დაჩქარებული განვითარება. ხმელთაშუა ზღვა შავ ზღვასთან ერთად არის უნიკალური აუზი, რომელსაც ანალოგი არ აქვს მთელს მსოფლიოში. იგი თბილი ზღვაა, რაც მთავარია ჩაკეტილია და პრიმიტიული გემებით მოცურავე მეზღაურები დაცული იყვნენ მსოფლიო ოკეანეში დაკარგვისაგან. იგი მოქცეულია სამ კონტინენტს შორის და შემოსაზღვრულია ძალიან დიდი პერიმეტრის მქონე სანაპიროთი. დიდი სანაპირო ზოლი მოიცავს განსხვავებულ ბუნებრივ პირობებს, ასევე ძველი ცივილიზაციის ორ ცენტრს, რაც ვაჭრობის განვითარებისა და საქონლის გაცვლისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო. მასში უამრავი კუნძული და ორი ზღვაში ღრმად შეჭრილი ნახევარკუნძულია, რაც ნაოსნობას აიოლებს. განსაკუთრებით ბევრი კუნძული და ყურეა (ყურე ცუდ ამინდში გემებისათვის კარგი თავშესაფარია) ეგეოსის ზღვაში. აქედან გამომდინარე აქ არის მსოფლიოში უპრეცედენტოდ ხელსაყრელი პირობები პრიმიტიული ნაოსნობისა და მისი გამოყენებით ვაჭრობის განვითარებისათვის. ხმელთაშუა ზღვის ეს უპირატესობები კარგად შეამჩნია რუსმა გეოპოლიტიკოსმა ლევ გუმილიოვმა¹.

ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზების გეოგრაფიული ცენტრი დაახლოებით საბერძნეთისა და ეგეოსის ზღვის მახლობლად არის. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, იგი უამრავი კუნძულით არის დახუნძლული. იქვე მის სამხრეთით იყო ორი იმ დროისათვის ყველაზე მაღალ განვითარებული სახელმწიფოს სანაპირო. ასე, რომ იმ ხალხს, ვინც ეგეოსის ზღვის მახლობლად სახლობდა, ჰქონდა ყველაზე ხელსაყრელი პირობა ვაჭრობის განვითარებისათვის.

სწორედ ამის გამო ხმელთაშუა ზღვაზე ძვ.წ. მე-11 – მე-6 საუკუნეებში ჩამოყალიბდა ორი სავაჭრო სახელმწიფო ფინიკია და

საბერძნეთი. მათი კოლონიები მობნეული იყო მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე²(იხ.დანართი2). ამ ქვეყნების ინტერესები მიმართული იყო ზღვის სანაპიროებისაკენ და არა კონტინენტების სიღრმისაკენ, რადგან მათი სახელმწიფოების მეურნეობა, ნაოსნობის გამოყენებით, ვაჭრობაზე იყო დაფუძნებული და ამიტომ ზღვის ნაპირები სჭირდებოდათ და არა კონტინენტის მიწები. ვაჭრობამ ამ ქვეყნების გამდიდრება და გაძლიერება გამოიწვია. ამ მდიდარი ქვეყნების

1) ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნიცევი „მსოფლიო ეკონომიკა“, ტ. 2. თბილისი, 2004. გვ.81
2) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუკა 4.

მაცხოვრებლებს მეტი დრო რჩებოდათ მეცნიერებისა და ფიქრისათვის. ამიტომაც შექმნეს პირველი, თანამედროვე, ბგერითი ანბანების წინამორბედი ანბანი ფინიკიელებმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ბერძული ხელოვნება და მეცნიერება დაწინაურდა. ფინიკიის კოლონიების საფუძველზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა ასევე საზღვაო-სავაჭრო სახელმწიფო კართაგენი.

მოგვიანებით, ძვ.წ. მე-4 საუკუნის ბოლოდან, გაძლიერებას იწყებს საბერძნეთის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარე მაკედონია, რომელმაც გალაშქრება გადაწყვიტა არა ჩრდილოეთით, ან დასავლეთით, არამედ სამხრეთით, სადაც უფრო ცივილიზებული და მდიდარი ხალხი ეგულებოდა. მან დაიპყრო სპარსეთი, რომელიც თავის დროზე ასევე ბაბილონისა და ასურეთის პერიფერიაზე მდებარეობდა და იმ დროისათვის ძალიან გაძლიერებული იყო¹(იხ დანართი 3). მაკედონელის მიერ შექმნილმა უზარმაზარმა იმპერიამ ძალიან მცირე ხანი იარსება და ალექსანდრე მაკედონელის მოულოდნელი სიკვდილისთანავე დაიშალა.

მაკედონელების მიერ სპარსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ქართველები განთვისუფლდნენ სპარსელთა გავლენისაგან. საქართველო მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერიის პერიფერიაზე აღმოჩნდა. მაკედონელის შემკვიდრე მხედართმთავრებს შორის ატეხილი ომით ისარგებლა ფარნავაზმა და დასავლეთ საქართველოს მთავარ ქუჯისტან ერთად ქართლიდან განდევნა, სავარაუდოდ ბერძნების მიერ მცხეთაში გამეფებული, აზონი. ასე შეიქმნა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ძვ.წ. მე-4 საუკუნის ბოლოს.

როგორც ვთქვით კავკასიონზე, დარიალის ხეობით, გამავალი გზა აკავშირებდა ჩრდილოეთში მომთაბარე ველურ ტომებს ცივილიზებულ სამყაროსთან. მათ შურით ავსებდა სამხრეთის მდიდარი ქვეყნები და მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან, რომ რომისა და სპარსეთის სახელმწიფოები დაერბიათ და გაეძარცვათ. ამ ხეობას კი საქართველო აკონტროლებდა, ამიტომ ქართველი მეფეების თანხმობის გარეშე ისინი ვერ ახერხებდნენ სამხრეთში გალაშქრებას. ამის გამო რომისა და პართიის მეფეები ცდილობდნენ საქარველოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ, რომ ქართველებს არ შეესიათ ჩრდილოელი ველური ტომები მათთვის.

134 წელს ერთერთმა უდიდესმა ქართველმა მეფემაც, ფარსმან ქველმაც, გამოატარა აღანები ამ ხეობაში, რომლებმაც დაარბიეს როგორც რომის იმპერია ისე პართიაც. ამის გამო რომის იმპერატორი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და მან საქართველოს დაუთმო გარკვეული ტერიტორიები. ფარსმანი მიიწვია რომში და რომის ერთ-ერთ ტაძარში მისი ქანდაკებაც დაადგმევინა.

შემდეგში ქართველებმა ისევ სცადეს ამ ხერხის გამოყენება არაბების წინააღმდეგ. მათ დარიალის ხეობაზე გადმოატარეს იმ დროს ჩრდილოეთში მომთაბარე ხაზართა ტომები, რომელთაც არაბების მიწები დაარბიეს, თუმცა ამჯერად ყველაფერი საპირისპირო შედეგით დასრულდა. არაბებმა, მე-8 საუკუნის დასაწყისში, ქართველთა დასასჯელად გამოაგზავნეს მურვან ყრუ, რომელმაც საქართველო არნახული სისასტიკით დაარბია.

დარიალის ხეობას თავიდანვე უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა, როგორც ჩანს სწორედ მასზე კონტროლის დაწესების მცდელობით იყო გამოწვეული თემურ ლენგისა და ირანის შაჰების განსაკუთრებული სისასტიკე ქართველების მიმართ. ქართველებმა თემურ ლენგის მთავარ მტერს ოქროს ურდოს ხანსაც გაუხსნეს დარიალის ხეობა.

ძვ.წ. მე-3 საუკუნის ბოლოს გაძლიერდა რომი, ისიც უშუალოდ ესაზღვრებოდა საბერძნეთის კოლონიებს. მან საბოლოოდ მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზსა და შავი ზღვის აუზზე გაავრცელა თავისი გავლენა და კიდევ უფრო შორს გადასწია ცივილიზებული სამყაროს საზღვრები. რომმა ძირითადად ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხები დაიპყრო, რადგანაც ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობა დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა. გარდა საზღვაო ვაჭრობისა, რომმა მნიშვნელოვნად განავითარა სახმელეთო ვაჭრობაც, გაიყვანა რა მანამდე არნახულად კეთილმოწყობილი გზები თავის იმპერიაში.

რომის მეზობლად მყოფმა ირანმაც მიბაძა რომს და მანაც კარგი გზები გაიყვანა. ამ გზებით (აბრეშუმის გზის ნაწილია) კარგა ხანს მიმდინარეობდა ვაჭრობა რომსა და მსოფლიო ცივილიზაციის მესამე აკვანს ჩინეთს, შორის. ამან საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგება მოუტანა, როგორც ირანს, ასევე რომს.

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ რომმა, წინა დამპყრობლებისაგან განსხვავებით, დაიპყრო მის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე მიწებიც. საქმე იმაშია, რომ მის მიერ დაპყრობილ ევროპულ ტერიტორიებს ჩამოუდის თბილი გოლფსტრიმის დინება და ამ მიწებს უფრო ხელსაყრელს ხდის მაშინდელი პრიმიტიული სამშენებლო და სამეურნეო ცოდნით შეიარაღებული ხალხებისათვის. ასე, რომ მან დაიპყრო იმ მომენტისათვის უკვე საცხოვრებლად ვარგისად გამხდარი მიწები, ხოლო უფრო ცივი და მკაცრი პირობებიანი ტერიტორიებით არ

-
- 1) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუკა 5.

დაინტერესდა¹(იხ. დანართი 4). ამან საშუალება მისცა უკვე ახ.წ. მე-5 საუკუნეში ჩრდილოეთის ტყეებში მცხოვრებ, გერმანული წარმოშობის ხალხებს, მოძლიერებულიყვნენ და რომი დაენგრიათ, რითაც ხელში ჩაიგდეს უფრო ხელსაყრელი მიწები დასავლეთითა და სამხრეთით. არც გერმანელები დაინტერესდნენ განსაკუთრებით მის აღმოსავლეთით მცხოვრები სლავების მიწებით. ეს კი ამ ხალხებს განვითარების საშუალებას აძლევდა ზედმეტი ომების გარეშე, თანაც ცივილიზაცია უახლოვდებოდათ და ადრე თუ გვიან, თავისი სიტყვის თქმის საშუალება მიეცემოდათ მსოფლიო ისტორიაში. მე-7 საუკუნიდან გაძლიერებას იწყებს არაბული სახელმწიფო. არაბები ძირითადად არაბეთის ნახევარკუნძულზე უდაბნოში სახლობდნენ, რომის იმპერიის პერიფერიაზე. არც ამ უდაბნო მიწებით არ დაინტერესებულა არც რომი და მოგვიანებით არც ბიზანტია. ეს ხალხი, ისე როგორც ყველა ზემოთ ნახსენები ხალხი ემეზობლებოდა ცივილიზებულ სამყაროს. ცივილიზებული სამყარო კი არ დაინტერესებულა მათი მიწებით და მათ საშუალება მიეცათ მშვიდად გაძლიერებულიყვნენ. გაძლიერების შემდეგ კი მათ უკეთესი მიწების ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს და დაიპყრეს კიდევ უზარმაზარი ტერიტორიები, რომელიც მათ უდაბნო მიწებს ბევრად სჯობდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებულ აგრესიას და შეუპოვრობას უცხო მიწების დასაპყრობად იჩენდნენ ის ხალხები, რომლებიც ცუდ მიწებზე ცხოვრობდნენ: უდაბნოებში, სტეპებზე, ან მკაცრ და ცივ კლიმატურ პირობებში. ხოლო კარგ მიწებზე მცხოვრებ ხალხებს, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ დიდი სტიმული თავისი სისხლით მოეპოვებინათ უფრო ცუდი მიწები და თავისი მიეტოვებინათ. მაგალითად შეიძლება ინდოეთისა და ჩინეთის მოყვანა.

ინდოეთს ჩრდილო-აღმოსავლეთით მსოფლიოში უმაღლესი ტიპეტის მთათა სისტემა ესაზღვრება, ჩრდილო-დასავლეთით კი თარის უდაბნო. შეიძლება ამიტომაც არ ჰქონიათ მცდელობა ინდოეთის ნახევარკუნძულის უფრო კარგ პირობებში მცხოვრებ ხალხებს სხვების

მიწები დაეპყროთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბევრმა დიდმა დამპყრობმა აუარა გვერდი ინდოეთის ნახევარკუნძულს. შესაძლოა იმიტომ, რომ სამხრეთიდან ზღვით იყო გარშემორტყმული, ჩრდილო-დასავლეთიდან უდაბნოთი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კი ტიბეტის მთებით.

ჩინეთს ჩრდილოეთით ესაზღვება გობის უდაბნო და სტეპები, დასავლეთით ასევე ტიბეტის მთიანეთი, ხოლო სამხრეთით, შედარებით კარგი მიწებისაკენ გაფართოების მცდელობები კი ჩინეთს თავის ისტორიაში არაერთხელ ჰქონდა. ჩინეთს მონღოლების გარდა ძველ დროში არ ჰყოლიათ დიდი დამპყრობი, ევროპელების გამოჩენამდე.

ეს ბუნებრივი ზღუდეები იცავდა ინდოელებსა და ჩინელებს უცხოელების აგრესიისაგან, რაც მათ გამრავლებას უწყობდა ხელს. იგივე ბუნებრივი ზღუდეები უკარგავდა მათ გაფართოების სურვილს, რის გამოც ისინი საკმაოდ მშვიდობის მოყვარეები ჩანან ისტორიაში.

არაბების ჩათვლით, არცერთი მანამდე ცნობილი დამპყრობი არ გაცილებია აღმოსავლეთით თარის უდაბნოს და ტიბეტის მთიანეთს,

1) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუკა 8.
ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით კი ყარაყუმისა და ყიზილყუმის უდაბნოს. როგორც ჩანს, მათ აგრესიას აჩერებდა უდაბნოები და მთები, მათი საცხოვრებლად უვარგისობის გამო.

მე-9 – მე-10 საუკუნეებში შიდა წინააღმდეგობების გამო (ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობები კავკასიაში, წინა აზიაში და ირანში) არაბეთის იმპერია დაშლას იწყებს. მე-10 საუკუნის ბოლოსათვის ხდება რამდენიმე აჯანყება ბიზანტიის იმპერიაშიც (ბარდა სკლიაროსისა და ბარდა ფოკას). ამან გარკვეულად ხელსაყრელი საგარეო ვითარება წარმოშვა საქართველოსათვის. გარდა ამისა ქართველებმა ისარგებლეს მოვლენათა ხელსაყრელი დამთხვევებით და იოანე მარუშისძის წარმატებული დიპლომატიით საქართველოს ერთიან ტახტზე, მე-10 საუკუნის ბოლოს, აიყვანეს ბაგრატ მესამე. ბაგრატ მესამე იყო ბაგრატ მეორე „ქართველთა მეფის“ შვილიშვილი (კლარჯეთელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი), მაშინ საკმაოდ მოძლიერებული ტაოს მეფის უშვილო დავით მესამე კურაპალატის (ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი) შვილობილი, და აფხაზეთის უსინათლო და უშვილო მეფის თეოდოსის დისშვილი. ასე, რომ იგი იყო ამ ქართული სახელმწიფოების კანონიერი მემკვიდრე. იოანე მარუშისძისა და დავით მესამეს ძალისხმევით იგი ჯერ შიდა ქართლში გაამეფეს, ხოლო შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს პირველი ბაგრატიონი მეფე გახდა. ასეთი ხელსაყრელი გარემოებები მეორედ ერეკლე მეორეს მეფობის დროს შეიქმნა, რომელიც ქართველებმა ვერ გამოიყენეს. ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

დავუბრუნდეთ ისევ არაბებს. მათ თავისი სახელმწიფოს საზღვრები ჩრდილო აღმოსავლეთში არალის ზღვამდე გასწიეს¹ (იხ.დანართი 5). აქ

არალის ზღვის აღმოსავლეთით თურანის დაბლობზე, ყარაყუმისა და ყიზილყუმის უდაბნოებსა და მის მიმდებარე სტეპიან მიწაზე სახლობდა თურქთა წინაპარი მომთაბარე ხალხი. არაბეთის სამეფოს ტერიტორიის არალის ზღვამდე გადაწევამ მათ ცივილიზებული სამყარო მიუახლოვა და მასთან კონტაქტები უფრო ინტენსიური გახდა. არაბებმა აქ ისლამი გაავრცელეს. იგი იქცა მუსულმანური სამყაროს პერიფერიად, რომელიც მომდევნო საუკუნეებში ბევრი მომთაბარე ხალხის გაძლიერების კერად იქცა. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ მათი მიწების სამხრეთით გადიოდა აბრეშუმის გზა, რომელიც ძვ.წ. მე-2 სუკუნიდან ახ.წ. მე-17 საუკუნემდე ფუნქციონირებდა და ჩინურ და ევროპულ ცივილიზაციებს აკავშირებდა ერთმანეთთან, თავიდან რომთან, ხოლო მე-5 საუკუნიდან რომის დანგრევის შემდეგ კი ბიზანტიასთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ გზის ერთ-ერთი შტო საქართველოზეც გადიოდა, ამას არ შეუძლია ხელი უამრავი დამპყრობლისათვის საქართველო დაეპყრო. უფრო მეტიც, აბრეშუმის გზა თავის აყვავებას სწორედ მონღოლების ბატონობის პერიოდში განიცდიდა. ასე, რომ იგი არასდროს ყოფილა საქართველოს უსაფრთხოების გარანტი.

ზემოთ მოყვანილმა წინაპირობებმა, როგორც ჩანს, გამოიწვია თურანის დაბლობზე მცხოვრები მომთაბარე სელჩუკთა (იგივე ოღუზები, რომლებიც არიან თურქთა, აზერბაიჯანელთა და სხვა წინა

1) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუკა 10.

აზიელი ხალხის წინაპრები) დემოგრაფიული გაძლიერება. მე-11 საუკუნეში ისინი აღმოსავლეთიდან წამოსულმა ყივჩაყებმა დაარბიეს, რომლებმაც შემდეგ გზა გაავრცელეს დასავლეთისაკენ. შესაძლოა ეს იყო ის ბიძგი, რამაც მათი ცუდი მიწებიდან აყრა და ძირითადი ნაწილის სამხრეთითა და ნაწილის დასავლეთით გადაადგილება გამოიწვია.

დარბევა არ იძლევა დემოგრაფიულად ისეთ კატასტროფიულ შედეგს, როგორც მტრის მიერ საუკუნოვანი დაპყრობა. ერთმა დარბევამ შეიძლება სამხედრო გაძლიერება და ერის სამხედრო მობილიზაციაც კი გამოიწვიოს. დაპყრობის დროს, კი მტერი ხარკს აკისრებს დაპყრობილს, უარესდება დაპყრობილი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა, მას ართმევენ დოვლათს, ზოგი ძალით მიჰყავთ ჯარში და დამპყრობლის გასაძლიერებელ ომებს ეწირება, ზოგი იძულებულია, სხვაგან გადასახლდეს, ან დამპყრობლის ჯიშზე გადავიდეს, რომ ჩაგვრა აიცილოს თავიდან. დამპყრობლის მიერ წარმოებული ძარცვა იწვევდა მასობრივ შიმშილს, გაჭირვებას, მასობრივ დაავადებებს, რაც ზრდიდა სიკვდილიანობას და ამცირებდა მოსახლეობის რიცხოვნებას.

ის, რომ სამხედრო მოქმედებები ზოგჯერ დემოგრაფიულად ნაკლებ კატასტროფიული შეიძლება იყოს, კარგად ჩანს საქართველოს დღევანდელ მაგალითზე. საქართველომ აფხაზეთის ომში, მაქსიმალური შეფასებით დაკარგა 30000 ადამიანი, ხოლო ეკონომიკურ გაჭირვებას

ბოლო 15 წელიწადში გაექცა და სხვა ქვეყნებში გადასახლდა მილიონამდე ადამიანი (მაშინ, როცა ქართველების მაქსიმალური რაოდენობა საქართველოში 3,8 მილიონს არ აჭარბებდა, ხოლო საქართველოს მთელი მოსახლეობა 5 მილიონი იყო). აქ არ შედის ის მონაცემები, თუ რამდენმა შეიკავა თავი ოჯახის შექმნისაგან, ან კიდევ ერთი ბავშვის გაჩენისაგან. არ არის ასევე მხედველობაში მიღებული ახალშობილთა სიკვდილიანობის ზრდით, თუ სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებით გამოწვეული დემოგრაფიული დანაკარგები.

სელჩუკებმაც დაიწვეს საომარი მოქმედებები სამხრეთით ცივილიზებული, მდიდარი და უკეთესი მიწების დასალაშქრად. მე-11 საუკუნის ბოლოს წინა აზიაში შექმნეს უდიდესი სახელმწიფო „სელჩუკთა სასულთნო“¹ (იხ. დანართი 6). ამ დროს ძალიან დიდი რაოდენობით თურქული (ოღუზები) ტომი ჩამოსახლდა წინა აზიაში.

ამ პერიოდში მოხდა რვაწლიანი ე.წ. „დიდი თურქობა“ საქართველოში, რომლის დროსაც მთლიანად დაინგრა და კატასტროფის წინაშე დადგა საქართველო. საქმე იქამდე მივიდა, რომ დავით აღმაშენებელი თავისი აღსაყდრების დროს კარგად მხოლოდ ქუთაისის დომენს აკონტროლებდა. მისი ხელისუფლება, სრულყოფილად, დასავლეთ საქართველოზეც არ ვრცელდებოდა. სელჩუკთა სასულთნო იმდენად ძლიერი იყო, რომ მისმა შეტევებმა კინაღამ მის უკიდურეს დასავლეთით მდებარე ბიზანტიის უძლიერესი იმპერია შეიწირა და რომ არა ჯვაროსანთა ლაშქრობები შეიძლება დანგრევას ვერ გადარჩენოდა (ერთი პერიოდი დაანგრევს კიდევ). სელჩუკების შემოსევებმა აიძულა სომხების დიდი ნაწილი 1080 წელს თავისი ქვეყნიდან აყრილიყო და სხვა ქვეყნებში გადასახლებულიყვნენ.

ახლა წარმოვიდგინოთ რა მძიმე მდგომარეობაში იყო დავით

1) მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია „საქართველოს ისტორიული ატლასი“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003. რუქა 16.

აღმაშენებელი, მე-11 საუკუნის ბოლოს, მისი მეფობის დაწყების დროს. სელჩუკებმა რვა წელიწადში მოაოხრეს საქართველო. ეს ფაქტი და დიდგორის ბრძოლა ამტკიცებს, რომ სელჩუკები საქართველოს პერიფერიად არ განიხილავდნენ და მოწოდებული იყვნენ მის დასაპყრობად. საქართველო სელჩუკთა სახელმწიფოს ზუსტად შუაგულში იყო. იგი კი მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებდა მის უკიდურეს დასავლეთით მდებარე უძლიერეს იმპერიას ბიზანტიას. საქმე იმაშია, რომ სანამ სელჩუკები ბიზანტიამდე მივიდოდნენ გარკვეული ძალები და რესურსები დაპყრობილი ხალხების დასამორჩიებლად უნდა დაეხარჯათ, საქართველო კი უფრო აღმოსავლეთით იყო და დარტყმები სელჩუკების მხრიდან ძალიან ძლიერი იქნებოდა. იყო კიდევ დიდგორში სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი 300000 მეომრისაგან შედგებოდა. ჯვაროსნებმა დავითის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ილაშქრეს სელჩუკების წინააღმდეგ 1096-99 წლებში, დიდგორის ბრძოლა კი 1121 წელს მოხდა, 22 წლის შემდეგ. მართალია მე-12

საუკუნეში სელჩუკთა სასულთნო რამდენიმე სასულთნოდ დაიშალა, მაგრამ საჭირო შემთხვევებში კოორდინირებულ მოქმედებას და კოალიციური ლაშქრის შეკრებას მაინც ახერხებდნენ. ასე რომ, რომ არ ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პიროვნება და მის მიერ შემოკრებილი ნიჭიერ და თავდადებულ ადამიანთა ჯგუფი საქართველოს არ ექნებოდა რენესანის პერიოდი. მან უმძიმესი საწყის პირობებით დაიწყო და მაინც მოახერხა იმპერიის შექმნა.

მიუხედავად დავით აღმაშენებლის უდიდესი ნიჭისა და დამსახურებისა, საქართველო მაინც ვერ შედგა როგორც მსოფლიო იმპერია. ამაში მას მისი ცენტრალური მდებარეობა უშლიდა ხელს. ჩემი აზრით საქართველოს რამდენჯერმე ჰქონდა შანსი დაეწყო დიდი სახელმწიფოს მშენებლობა.

კერძოდ ვახტანგ გორგასლის დროს და შემდეგ დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფის მეფობას შორის პერიოდში. იმისათვის, რომ გაძლიერებულიყო მას სჭირდებოდა დაუსახლებელი, არამჭიდროდ დასახლებული, ან სუსტად განვითარებული ხალხით დასახლებული ტერიტორიები. ასეთი, კი მაშინ მხოლოდ კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ვაკე მიწები იყო, რომელიც საცხოვრებლად საკმარისად ვარგისი იყო. ჩრდილოეთით მცხოვრები ყივჩაყები ამ დროს უკვე ძალიან დასუსტებულები იყვნენ. კარგი საცხოვრებელი პირობები კი დაჩქარებული დემოგრაფიული ზრდისთვის არის ხელსაყრელი.

მე-5 საუკუნეში, როცა ოსებმა ვახტანგ გორგასალს და მოსტაცეს, იგი, როგორც ვ. ჭილაძე ამბობს თავის წიგნში „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“¹, 172000-იანი ჯარით გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაამარცხა ოსთა და ხაზართა გაერთიანებული ჯარი და დიდი ხნით დაავიწყა მათ სამხრეთის გზა. უკან დასავლეთიდან, ჯიქეთისა და აფხაზეთის გავლით დაბრუნდა, საიდანაც ბიზანტიელები განდევნა (შეიძლება ეს რიცხვი გადაჭარბებულია, სხვაგან 100000 მეომარი წერია, მაგრამ, როგორც ჩანს, გორგასალმა მართლაც ძალიან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. ამხელა ჯარი ქართველებს არც მანამდე და არც ამის მერე არ შეუკრებიან და მით უმეტეს ქვეყნის ფარგლებს

1) ვ. ჭილაძე „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, წიგნი 1, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981 წ. გვ.227

გარეთ არ გაუყვანიათ. შედარებისათვის, მე-13 საუკუნეში ჩინგიზ-ყაენმა თავისი დაპყრობები 150000 კაცით დაიწყო). მას ჩრდილოეთ კავკასია რომ შემოეერთებინა, შეეძლო მათი მოსახლეობით შეევსო ჯარი და კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, როგორც ამას მონღოლები აკეთებდნენ, ან როგორც დავით აღმაშენებლმა გამოიყენა ყივჩაყები და საქართველოს ძლიერებისათვის აომა. მაგრამ ქართველების ექსპანსიას ჩრდილოეთით ხელს უშლიდა კავკასიონის ქედი. ძნელი იყო დაპყრობილი ხალხის კონტროლი. გავისხენოთ თუნდაც, როგორ უჭირდათ ქართველ მეფეებს ფშავ-ხევსურეთში ქრისტიანობის გავრცელება.

ვახტანგ გორგასალსაც ძალიან ძლიერი მეზობლები და მტრები ჰყავდა ბიზანტიისა და სპარსეთის სახით. იგი ხშირად სარგებლობდა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის არსებული უთანხმოებით და კარგად იყენებდა ამას, მაგრამ საქართველოს ამ მეზობლების ძალა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქართველებისას. ასე, რომ ასეთ გარემოში ქვეყნის გაძლიერება უმძიმესი საქმე იყო. ეს მის დიდ ნიჭიერებას უსვამს ხაზს.

საერთოდ, გორგასალის მეფობის დროს ბევრი უპრეცედენტო მოვლენა მოხდა საქართველოში: საქართველოს ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარის გამოყვანა, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული პაგიოგრაფიული ნაწარმოების „შეშანიკის წამების“ დაწერა, ქართული ეკლესიის ბიზანტიის გავლენის სფეროდან გამოყვანა და კათოლიკოსის პოსტის შემოღება, თბილისის დაარსება და რაც არანაკლებ საინტერესოა, იგი იყო უდიდესი ქართველი ფილოსოფოსისა და მოღვაწის პეტრე იბერის ნათესავი, რომელიც თავის მხრივ უნდა ყოფილიყო საქართველოში მე-6 საუკუნეში ჩამოსული ასირიელი მამების მასწავლებელი.

რომის იმპერიის საზღვრების შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებამდე გავრცელების შემდეგ საქართველო მაშინდელი ცივილიზაციის პერიფერიასთან აღმოჩნდა და მას ჰქონდა კარგი შანსი გამოეყენებინა ეს, მაგრამ ისევ და ისევ კავკასიონი იყო გადაუღახავი ზღუდე ჩრდილოეთში გაფართოებისა და გაძლიერების. აქ უნებურად გაგახსენდება მითი ამირანზე, რომელიც კავკასიონზე იყო მიჯაჭვული და ვერაფრით ვერ წყვეტდა ბორკილებს.

თუკი ქართველი მოსახლეობა გადადიოდა კიდევ ჩრდილოეთით, სამხრეთიდან დამპყრობელთა შეტევებით თავგაბეზრებულები, საბოლოოდ მაინც დაკარგავდნენ საქართველოსთან კულტურულ კავშირს და ჩრდილოეთის ხალხებში გაითქვიფებოდნენ. მეორეს მხრივ მტრებისაგან დაწიოკებული ხალხი კავკასიონის კალთებს აფარებდა თავს. ასე, რომ კავკასიონი ძნელბედობის უამს გვიცავდა, ხოლო გაძლიერების დროს კი ჩვენს ექსპანსიას ზღუდავდა. სწორედ ნაკლებ დასახლებული და ნაკლებ განვითარებული ხალხების ხარჯზე მოახერხეს რუსებმა გაძლიერება, როცა აზიელი მომთაბარეებისაგან შევიწროვებულები თავიდან ჩრდილოეთით იწვედნენ, ხოლო მოძლიერების შემდეგ კი თვითონ დაიწყეს მათი შევიწროვება.

მე-11 საუკუნიდან, ისევ უკან მე-9 საუკუნეში დავბრუნდეთ და ვნახოთ რა ხდებოდა ამ პერიოდში ცოტა ჩრდილოეთით. ამ დროს ჩამოყალიბდა პირველი რუსული სახელმწიფო კიევის რუსეთი. ეს ადგილები შავ ზღვას ესაზღვრება და საცხოვრებლად ხელსაყრელი პირობებია, რამაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბიზანტიასთან, რასაც აქ მართლმადიდებლობის ბიზანტიიდან გავრცელება მოწმობს. კიევის რუსები შევიწროვებული იყვნენ აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარეთა დაშქრობებით და ნელ-ნელა ჩრდილო-აღმოსავლეთით იწვედნენ (რისი გაკეთების საშუალებასაც ქართველები მოკლებული იყვნენ), ნაკლებ

დასახლებული ტერიტორიების და ნაკლებ განვითარებული ხალხების შევიწროვების ხარჯზე¹(იხ. დანართი 7). რუსებს გაძლიერება არ დასცალდათ, მე-13 საუკუნეში ისინი მონღოლებმა დაიპყრეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევრაზიული სკოლის წარმომადგენელი რუსი გეოპოლიტიკოსები ამ მოვლენას სულაც არ აფასებენ უარყოფითად და თვლიან, რომ ამან საფუძველი ჩაუყარა რუსული სახელმწიფოს, როგორც ევრაზიულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. მათ ფაქტიურად გადაიბარეს თათარ-მონღოლთა მიწები და ამ დაპყრობილი მდგომარეობიდან გაძლიერებულები გამოვიდნენ. მე-15 საუკუნიდან, კი როცა მონღოლთა უღელი გადააგდეს, მე-19 საუკუნემდე, საკამოდ მოძლიერებულ რუსულ სახელმწიფოს ძლიერი დამპყრობი აღარ დამუქრებია. ქვემოთ ვნახავთ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ქართველები დაახლოებით იმავე პერიოდში.

მე-13 საუკუნეში, ჩინური ცივილიზაციის მახლობლად, გაძლიერდნენ გობის უდაბნოში და მის მიმდებარე სტეპებზე მცხოვრები მომთაბარე მონღოლთა ტომები. მათ დასაბამიდან იზიდავდათ ჩინეთის ნაყოფიერი მიწები და აღმოსავლეთში ყველაზე მეტად განვითარებული ცივილიზაცია. ისინი მუდმივად ესხმდნენ თავს ჩინეთს, მაშინ როცა ჩინეთისათვის მონღოლთა საცხოვრებელი არასდროს, ძლიერების ხანაშიც კი არ იყო მიმზიდველი. მონღოლების საძოვრების მახლობლად გადიოდა ასევე აბრეშუმის გზა და ალბათ ამ ცივილიზებული სამყაროს დანახვა მათ თვალს სჭრიდა, ალბათ რაღაცეებს სწავლობდნენ კიდევ მათგან. მოკლედ, მონღოლებს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მტერი არ ჰყოლიათ. მათ გაძლიერებას, თუნდაც დემოგრაფიულად ხელს არავინ უშლიდა. თავისი უნაყოფო და მეზობლების ნაყოფიერი მიწები და განვითარებული ცივილიზაცია კი აგრესიას უძლიერებდა, რასაც მოჰყვა კიდევ მათ მიერ მსოფლიოს დაპყრობა ევროპამდე. მონღოლების აგრესია ყველა მიმართულებით იყო მიმართული გარდა ჩრდილოეთისა, რადგანაც იქ ცუდი საცხოვრებელი პირობები იყო. მონღოლებმა ძალიან ბევრი ხალხი დაიპყრეს. მათ დამორჩილებულ მდგომარეობაში შენარჩუნებას კი დიდი რესურსი სჭირდებოდა. ეს რესურსი უასასრულო არავის აქვს და მონღოლების იმპერიაც ბოლოსდაბოლოს დაიშალა, მონღოლების დიდი ნაწილი კი მათ მიერ დაპყრობილ ხალხებში გაითქვიფა.

სანამ იმპერია ითვისებს დაუსახლებელ, ან ნაკლებ განვითარებული ხალხების ტერიტორიებს, ეს თავიდან მათ გაძლიერებას იწვევს. რადგანაც იყენებენ დაპყრობილი ქვეყნის რესურსებს (ნაძარცვს ლაშქრის დასაქირავებლად და სარჩენად, დაპყრობილი ხალხი გაჰყავთ საომრად, იყენებენ მათ მიწებს განსახლებლად და უკეთეს პირობებში გასამრავლებლად), რომელიც თავიდან უფრო მეტია, ვიდრე ამ ხალხების დამორჩილებაზე

1) „атлас офицера“, военно-топографическое управление, москва 1984. стр.260

დახარჯული რესურსი. მას შემდეგ რაც უფრო მეტად განვითარებულ ხალხებს იპყრობს და რაც მეტს იპყრობს იმპერია, სულ უფრო მეტი რესურსი ეხარჯება ხალხების დამორჩილებულ მდგომარეობაში

შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ეკონომისტებისათვის ცნობილი კლებადი უკუგების კანონის თანახმად, იმპერია დაპყრობილი მიწების სულ უფრო ნაკლები რესურსის ათვისებას ახერხებს. საბოლოოდ იმპერია იფიტება და ინგრევა. როგორც მონღოლებს დაემართათ.

მონღოლთა უღელის გადაგდების შემდეგ, მე-15 საუკუნიდან რუსებმა დაიწყეს აღმოსავლეთით გაფართოება ნაკლებ დასახლებული და შედარებით სუსტი ხალხების ხარჯზე. მოძლიერების შემდეგ, კი რადანაც მათი მიწები საცხოვრებლად არ იყო მაინცადამაინც ხელსაყრელი, დაიწყეს სამხრეთით გაფართოება. ისევ გაძლიერებულ რუსულ სახელმწიფოსთან შედარებით სუსტი ხალხების მიწების მიტაცებით. დასავლეთით ისინი უფრო დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ და ამ მიმართულებით დიდად ვერ გაფართოვდნენ. ტექნოლოგიებისა და სამეურნეო წესების დახვეწისა და განვითარებული ქვეყნებიდან გადმოღების შემდეგ სულ უფრო მეტი მიწა ხდება საცხოვრებლად შედარებით ვარგისი, რაც საშუალებას იძლეოდა ესა თუ ის ქვეყანა დემოგრაფიულად და პოლიტიკურად გაძლიერებულიყო.

მონღოლების მიერ დაპყრობილ ხალხებს შორის ქართველებიც იყვნენ. მონღოლებმა საქართველო მე-13 საუკუნეში დაიპყრეს.

მონღოლების შემოსევამდე ხუთი წლით ადრე კი თბილისში შემოიჭრა, დაარბია და 100000 ადამიანი ქრისტიანობისათვის მეტეხის ხილთან აწამა ხვარაზმელმა (ეს სახელმწიფოც თურანის დაბლობზე მდებარეობდა) ჯალალედინმა. მიაქციეთ ყურადღება ეს ასი ათასი წამებული ბრძოლის დროს კი არ დაიდუბა, არამედ ომის წაგების შემდეგ დახოცა ჯალალედინმა.

მე-14 საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს საქართველომ ცოტა სული მოითქვა. ამას გარკვეულად ხელი შეუწყო მონღოლთა სამხრეთული ურდოს, ილხანთა სამეფოს შიდა წინააღმდეგობებით დასუსტებამ. ამის გამო, მცირე ხნით შეიქმნა მეტნაკლებად ხელსაყრელი საგარეო ვითარება, რაც კარგად გამოიყენა გიორგი ბრწყინვალემ. ეს არ იყო იოლი საქმე, რადგანაც გამეფების დასაწყისში იგი მხოლოდ თბილისს აკონტროლებდა და მას თბილისის მეფეს უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა გიორგი ბრწყინვალემ მაინც მოახერხა საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. რომ არა მისი ნიჭიერება, შეიძლება ეს გარკვეულად გაუმჯობესებული საგარეო ვითარება გამოუყენებელი დარჩენილიყო. (მისი მეფობის დროს გადაეცათ ქართველებს ქრისტეს საფლავის გასაღები და მე-15 საუკუნის შუაწლებამდე ქართველ ეპისკოპოსზე გადმოდიოდა აღდგომის ცეცხლი) ა. ჯაფარიძე ტომი მე-12 გვ.148)

მე-14 საუკუნეში თურანის დაბლობის მიმდებარე ტერიტორიაზე კვლავ გაძლიერდა გათურქებული მონღოლური ტომი თემურ-ლენგის ხელმძღვანელობით. მას, მისი მეზობელი მიწების დაპყრობის (ძირითადად ირანისა და კავკასიის) დროს უხდებოდა შეტაკებები, ჩრდილოეთში მდებარე ოქროს ურდოს ხანთან თოხთამიშთან. თემურ-

ლენგმა 17 წლის განმავლობაში 8-ჯერ ილაშქრა საქართველოში და უმძიმესი ზიანი მიაყენა ქვეყანას, თუმცა სახელმწიფოებრიობის მოშლა ვერ მოახერხა. მისი ასეთი სისასტიკე ქართველთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ უნდოდა კავკასიონის ქედის გაკონტროლება, რომ თოხთამიში სამხრეთით ვერ გადმოსულიყო.(ქართველებმა მართლაც გაუხსნეს დარიალის ხეობა თემურ ლენგის მთავარ მტერს ოქროს ურდოს ხანს თოხთამიშს). ასე იყო, თუ ისე თემურ ლენგის შემოსევებმა ქვეყანა ძალიან დაასუსტა. მისმა ლაშქრობებმა ირანსაც გამოაცალა ძალა. საერთოდ ალბათ მაჰმადიანი დამპყრობელი ქრისტიან ქართველებს უფრო სასტიკად ექცეოდა ვიდრე მაჰმადიან ხალხებს. თემურ-ლენგის შემოსევებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოში შავი ჭირიც მძვინვარებდა.

მომდევნო წლებში, მე-15 საუკუნის დასაწყისში, ისევ მოძლიერდნენ წინა აზიაში ჩამოსახლებული თურქები და მათი მონათესავე თურქმანული ტომები (თემურ-ლენგმა, ჩვენგან და ირანისაგან განსხვავებით, მათ წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ ილაშქრა). მათ ოსმალეთი და ორი თურქმანული სახელმწიფო შექმნეს, შავბატკნიანების და თეთრბატკნიანების სახელწოდებით. ორივე მათგანმა ჯერ შავბატკნიანებმა, ხოლო შემდეგ კი თეთრბატკნიანებმა დალაშქრეს, როგორც საქართველო, ასევე ირანი. თეთრბატკნიანებმა კი ირანის დასავლეთ ნაწილიც დაიპყრეს. მათი აგრესია ძირითადად აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული და არა დასავლეთისაკენ(როგორც ჩანს ყველაზე მეტად დასუსტებულ ქვეყნებს ირჩევდნენ ექსპანსიისათვის), სადაც ხელსაყრელ საგარეო ვითარებაში ძლიერდებოდა მათი მონათესავე ტომებისაგან შემდგარი სახელმწიფო ოსმალეთი. ასე, რომ წინა აზიის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოცა და ირანიც მე-15 საუკუნეს საკმაოდ დასუსტებულები შეხვდნენ.

სამაგიეროდ უფრო ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ და ძალიან გაძლიერდნენ, წინა აზიაში კონსტანტინოპოლის მახლობლად მე-11 საუკუნეში ჩამოსახლებული თურქები, იგივე ოსმალეები. მათი გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ისინი ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდნენ. თურქების წინაპარი ოღუზები განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ, ამიტომ, როგორც ჩანს, მათ არ ჰქონდათ ძლიერ განვითარებული ეროვნული ქედმაღლობის გრძნობა, რაც კარგი წინაპირობა იყო ინტენსიური ასიმილაციის პოლიტიკის გატარებისათვის. ეს ამცირებდა შიდა წინააღმდეგობებს სახელმწიფოში და ამასთანავე სწრაფად იზრდებოდა ადამიანური რესურსიც (გარდა ამისა, ომში გამოსაყენებლად ქრისტიანული ქვეყნებიდან ბავშვებს იტაცებდნენ და მეომრებად ზრდიდნენ). ოსმალეთის დასავლეთით მდებარე ბიზანტია, უკვე საკმაოდ მობერებული და დასუსტებული იყო. ასე, რომ ოსმალეთს არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით ისეთი მტერი არ ჰყოლია, რომ მნიშვნელოვნად შეეწუხებინა. ამან ხელი შეუწყო თურქ-ოსმალეების გაძლიერებას.

თურქებმა მე-11 საუკუნეში დაწყებული საქმე მე-15 საუკუნეში წარმატებით დაასრულეს და დაანგრიეს ბიზანტიის იმპერია. მის ადგილზე კი ჩამოაყალიბეს ოსმალეთის იმპერია.

მართალია რომის პაპი შეაშფოთა თურქთა ხელმეორედ ასეთმა გაძლიერებამ და დააპირა კოალიციური ლაშქრის შეკრება თურქთა წინააღმდეგ, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად მე-15 საუკუნეში, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა. ამ დროისათვის ევროპაში გავრცელებას იწყებს პროტესტანტული შეხედულებები. თავიდან ძირითადად გერმანელებში. პაპის ავტორიტეტი აღარ იყო ისეთი დიდი, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ამას გარდა, რაც მთავარია, ინგლისი და საფრანგეთი 1453 წლამდე (ზუსტად ამ წლის გაზაფხულზე აიღეს კონსტანტინოპოლი თურქებმა.) ერთმანეთის წინააღმდეგ ასწლიან ომში იყვნენ ჩაბმულნი. ერთი სიტყვით, ევროპას თავისი პრობლემები ჰქონდა და იგი არ დაეხმარა ბიზანტიას თურქების წინააღმდეგ და ისიც დაეცა.

ბიზანტიის იმპერიამ იარსება მსოფლიოს იმპერიებს შორის ყველაზე დიდ ხანს. იგი თავიდან რომის იმპერიის ნაწილი იყო, მე-4 საუკუნიდან, კი მას შემდეგ რაც რომის იმპერია დაიშალა დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერიებად, აღმოსავლეთ ნაწილმა მე-4 საუკუნიდან გააგრძელა დამოუკიდებლად არსებობა ბიზანტიის იმპერიის სახით და იარსება მე-15 საუკუნემდე, სანამ ოსმალებმა არ დაანგრიეს (ბიზანტია შინაგანი წინააღმდეგობების გამო კი არ დაინგრა, არამედ გარეშე მტრებმა დაანგრიეს). ბიზანტიის იმპერიის ასეთი ხანგრძლივი არსებობის ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობა, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო ის, რომ ამ დროს მეცნიერება ნელა ვითარდებოდა, ტექნოლოგიები ნელა იცვლებოდა. ეს იწვევდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ნელი ტემპით ცვლას, ე.ი. რეალობა ნელა იცვლებოდა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველო მე-15 საუკუნეს ძალიან დასუსტებული შეხვდა. ეს არის საქართველოსათვის უმძიმესი პერიოდის დასაწყისი. მე-15 საუკუნეში ბიზანტიის დაცემას, თითქმის მაშინვე მოჰყვა, საქართველოს ვასალი ტრაპიზუნის იმპერიისა და საქართველოს დაშლა. არ არის გამორიცხული, რომ ოსმალები აქეზებდნენ ქართველ ურჩ თავადებს მეფის წინააღმდეგ, რადგანაც დროში უცნაურად ემთხვევა საქართველოს დაშლა და ოსმალეთის ჩვენთან გამეზობლება ერთმანეთს. ოსმალეთს, აღარ ჰყავდა რეგიონში გამაწონასწორებელი ძალა. საქართველო კი პერიფერიაზე არ მდებარეობდა, რომ სული მოეთქვა და ძალები მოეკრიბა. ასე, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მეორე აღმაშენებელს თუ შეეძლო. იგი არ ჩანდა და საქართველოს საქმე ძალიან გრძელი დადმართისაკენ წავიდა. ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მაინც მოვახერხეთ ქართველობის შენარჩუნება, მიუხედავად დასაბამიდან, ცენტრალური, ძალიან მძიმე გეოპოლიტიკური მდებარეობისა. ეს მეტყველებს ქართველთა დიდ სასიცოცხლო ენერჯიაზე და სულიერ ძლიერებაზე. გავისხენოთ, რომ ბევრმა ხალხმა ვერ გაუძლო და გადაშენდა. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის ჩვენი მეზობელი ალბანელებიც კმარა.

მე-16 საუკუნეში კვლავ გაძლიერებას იწყებს ირანი. უნდა ითქვას, რომ ირანი არანაკლებ შვეწროებული იყო უცხოელი დამპყრობლების მიერ. მაგრამ ირანელები, თუ არ ჩავთვლით მაკედონელის ლაშქრობას, ძლიერდებოდნენ უძველესი დროიდანვე არაბ დამპყრობელთა გამოჩენამდე, ანუ მე-7 საუკუნემდე. მათ ტერიტორიაზე გადიოდა აბრეშუმის გზის ძირითადი არტერია, საიდანაც დიდ მოგებას ნახულობდნენ. დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ მაღალ განვითარებულ რომის, ხოლო მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიებს. აღმოსავლეთით კი ძლიერი მეზობელი არ ჰყავდათ. ასეთმა პერიფერიულმა და ამავე დროს ცივილიზებულ სახელმწიფოსთან სიახლოვემ ხელი შეუწყო ირანელთა გაძლიერებას და შედარებით დიდ ტერიტორიაზე განსახლებას და გამრავლებას. ფაქტიურად ისინი მთლიანად განსახლდნენ იმ პერიოდისათვის სასიცოცხლოდ ხელსაყრელ მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ მიწებზე. დასავლეთით გაფართოებას კი რომი და ბიზანტია უშლიდა ხელს. იმის გამო, რომ მათ დემოგრაფიულ შედარებით მრავალრიცხოვნებასა და ფართო არეალზე გავრცელებას ადრევე ჰქონდა საფუძველი ჩაყრილი, უფრო სწრაფად მოახერხეს ფეხზე დადგომა და მე-16 საუკუნის მერე ირანელები ისევ მოძლიერდნენ. ამ პერიოდისათვის მას აღარც ძლიერი დამპყრობლები არ ავიწროებდნენ აღმოსავლეთიდან. მისი ძლიერების პიკები ძირითადად შაჰ-აბაზისა და ცოტა მოგვიანებით ნადირ-შაჰის მეფობას უკავშირდება. ეს პიკები არ იყო ხანგრძლივი და უმეტეს წილად ამ შაჰების პიროვნული ნიჭით იყო განპირობებული. თუმცა ჩვენ კარგად ვიცით თუ რა დიდი ზიანი მოგვაყენეს მათ. ირანის გადამეტებული სისასტიკე საქართველოს მიმართ შეიძლება ნაწილობრივ ისევ იმით აიხსნას, რამაც თემურ ლენგის და მურვან ყრუს სისასტიკე გამოიწვია. ირანს ეშინოდა ძალიან გაძლიერებული რუსული სახელმწიფოს სამხრეთით აგრესიის და სასიცოცხლოდ აუცილებლად მიაჩნდა კავკასიონის გადმოსასვლელების ხელში ჩაგდება.

ძალიან კარგი შანსი ჰქონდა ერეკლე მე-2-ს, მე-15 საუკუნიდან დაწყებული ეს გრძელი დაცემის პერიოდი მე-18 საუკუნეში ცოტა ხნით მაინც შეეჩერებინა. ამ დროს თურქეთს და ირანს თავისი დიდების მწვერვალი უკვე გავლილი ჰქონდათ და სუსტდებოდნენ. ერეკლე უდავოდ უნიჭიერესი მხედართმთავარი იყო და თავისი შეუპოვარი ბრძოლით მოახერხა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის შემოეერთებინა სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიების ნაწილი. ამავე დროს შესაძლებელი გახდა იმერეთის სამეფოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს უსისხლოდ გაერთიანება, როცა იმერეთის თავადებმა შესთავაზა მას გაერთიანება ერეკლემ ეს მომენტი ვერ გამოიყენა და მუდმივად რუსებთან კავშირს ეძებდა, რომლებიც მას სულ ატყუილებდნენ და დალატობდნენ, რითაც მისი გაძლიერებული სამეფოს დასუსტება სურდათ. ერეკლეს არ ჰქონდა სასიცოცხლო აუცილებლობა რუსებისათვის დახმარება ეთხოვა. მით უმეტეს, რომ დახმარების ნაცვლად დალატს იღებდა და რუსეთთან კავშირით კიდევ უფრო აღიზიანებდა ირანსა და თურქეთს. ბოლოს ირანი დიდ ფულსაც კი სთავაზობდა მას საქართველოს ფეხზე დასაყენებლად, თუკი სამაგიეროდ ერეკლე რუსებს კავკასიაში არ ჩამოუშვებდა.

საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტების შედარებით დაწვრილებით განხილვის შემდეგ კვლავ დაეუბრუნდეთ ევროპას და ვნახოთ რა ხდებოდა იქ, როცა საქართველოში ყველაზე გრძელი დაცემის პერიოდი იყო, რაც მარტო ობიექტური პირობების ბრალი არ უნდა ყოფილიყო.

მე-15 საუკუნისათვის ევროპაში უკვე სხვა რეალობაა. განვითარებულია ნაოსნობა. ევროპა უდიდესი აღმოჩენების მიჯნაზეა. მე-15 საუკუნის ბოლოს პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს აფრიკის შემოვლითი გზა ინდოეთისაკენ (აბრეშუმის გზის ალტერნატიულ გზა), ხოლო ესპანელებმა კი ამერიკა. ევროპის ყურადღება მატერიკს მოაკლდა და დაიწყო ახალი მიწების ძებნა მსოფლიო ოკეანეში.

მე-15 საუკუნიდან დაწინაურებას იწყებს ესპანეთი. იგი ამ დროს არის ევროპის პერიფერია. გარდა ამისა იგი არის ქვეყანა, რომელსაც აქვს გასასვლელი, როგორც ხმელთაშუა ზღვაზე ასევე ატლანტიკის ოკეანეში. როგორც გვახსოვს, რომისა და ბიზანტიის იმპერიების ვაჭრები აღმოსავლეთთან ვაჭრობდნენ აბრეშუმის გზით. ამას მათთვის დიდი მოგება მოჰქონდა. ამ ქვეყნებში მუდმივად ეძებდნენ ალტერნატიულ უფრო მოხერხებულ გზას ჩინეთამდე და ინდოეთამდე. ევროპელებს უკვე საკმარისად კარგად ჰქონდათ განვითარებული ნაოსნობა ხმელთაშუა ზღვაზე ინტენსიური ცურვით.

პერიფერიაზე მდებარე ესპანეთის გაძლიერებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისი და საფრანგეთი (რომელთაც ასევე ჰქონდათ ოკეანეში გასასვლელი) მე-14 – მე-15 საუკუნეებში ასთექსმეტი წელი ეომებოდნენ ერთმანეთს და დაუსტებული იყვნენ. ეს ომი მე-15 საუკუნის შუა ხანებში დამთავრდა. ესპანეთისა და პორტუგალიის გარდა ევროპის არცერთ სხვა ქვეყანას არ ჰქონდა, პერიფერიული მდებარეობისა და აქედან გამომდინარე მშვიდობიანი განვითარების საშუალებასთან ერთად, ერთდროული სიახლოვე, როგორც ხმელთაშუა ზღვასთან (სადაც სანაოსნო ვაჭრობა იყო თავიდანვე განვითარებული), ისე ოკეანესთან. ესპანეთს აინტერესებდა თუ რა ხდებოდა მისი დასავლეთ ნაპირებს მიღმა და ამიტომაც დააფინანსა მან, წარმოშობით იტალიელი, კოლუმბი ახალი გზის მოსაძებნად.

ასე, რომ ესპანეთს ეკავა ხელსაყრელი პერიფერიული მდებარეობა მე-15 საუკუნის ევროპაში. ამან მისი მშვიდობიანი განვითარების შანსი გაზარდა. მისი მეზობლები კი ერთმანეთთან ხანგრძლივი ომით იყვნენ დაკავებული. ამან ესპანეთს მისცა საშუალება გაძლიერებულიყო და მეტი რესურსი დაეთმო ოკეანის მიღმა მიწების შესწავლისათვის, ისევე როგორც პორტუგალიას.

ესპანეთმა შექმნა ყველაზე ვრცელი იმპერია, მაგრამ ეს იმპერია ძირითადად სუსტად განვითარებული ხალხების მიწებისაგან შედგებოდა. ევროპის სხვა ქვეყნებზე გამალებული ითვისებდნენ ფაქტიურად დაუსახლებელ მიწებს. ეს კი, როგორც ვთქვი ხელსაყრელი პირობაა გასაძლიერებლად მსოფლიო იმპერიის შექმნის გზაზე. ცივილიზაციის მიღმა არსებული დაუსახლებელი მიწები და მათი

რესურსები საშუალებას აძლევდათ მათ ძალები მოეკრიბათ და გაძლიერების შემდეგ ისევ შეეციათ ძველი სამყაროსათვის, მასზე კონტროლის მოსაპოვებლად და მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობის მისაღწევად. ამ საქმით, მომდევნო წლებში, ესპანეთის გარდა საფრანგეთი, ჰოლანდია, პორტუგალია და ინგლისი იყო დაკავებული.

ჰოლანდია ესპანეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ეს უფრო ინტენსიურს ხდიდა ნაოსნობასა და საერთაშორისო ვაჭრობაში დაწინაურებულ სამყაროსთან ურთიერთობებს. ამასთან ერთად ჰოლანდიის სანაპირო ყურეებიანი და კუნძულოვანია, რაც ხელსაყრელია ნავსადგურებისათვის. ჰოლანდიელები ხედავდნენ, რომ საოკეანო ვაჭრობას დიდი მოგება მოჰქონდა, თვითონაც დახელოვდნენ ამ საქმეში და საკმაო სიმდიდრეც მოიხვეჭეს. ჰოლანდიაში ერთდროულად დაიწყო ბურჟუაზიული რევოლუციაც და განმათავისუფლებელი მოძრაობაც, რაც მე-16 საუკუნის ბოლოს რევოლუციის გამარჯვებითა და დამოუკიდებლობის მოპოვებით დამთავრდა. ამას ჰოლანდიის მეტროპოლიისაგან სიშორემაც შეუწყო ხელი.

მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა აუთვისებელი მიწები აითვისეს, დაიწვეს ერთმანეთის შევიწროვება. აქ კი გეოპოლიტიკის კანონებით სხვა თანაბარ პირობებში გაიმარჯვებდა ის, ვისაც უკეთესი გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა. ასეთი ინგლისი იყო. იგი ევროპიდან გამოყოფილი, წყლით დაცული კუნძულია. როცა ყოველი მხრიდან წყლითა ხარ გარშემორტყმული და მსოფლიოსთან დაკავშირება გემის გარდა არაფრით შეუძლია, რა თქმა უნდა ეს კარგი წინაპირობაა ნაოსნობის განვითარების მაღალი ტემპებისათვის. მისმა პერიფერიულმა და კუნძულოვანმა მდებარეობამ, როგორც ჩანს განაპირობა მსოფლიოში მისი, როგორც საზღვაო ქვეყნის გაბატონება.

ინტენსიური ვაჭრობა, ხელს უწყობს კომერციულ აზროვნებას. როცა ასეთი ადამიანების წილი ქვეყანაში იმატებს, იწყება ახალი ინოვაციების სასწრაფოდ დანერგვა ცხოვრებაში, რადგანაც კომერსანტები მოგებაზე არიან ორიენტირებული და ცდილობენ ამ სიახლით მიიღონ დამატებითი მოგება. ეს აჩქარებს ახალ აღმოჩენებს, რაც თავის მხრივ იწვევს ახალი რეალობების უფრო სწრაფად ცვლას და აჩქარებს ისტორიას.

მე-18 საუკუნიდან ინგლისში იწყება ინდუსტრიული რევოლუცია. ამ დროისათვის იგი უკვე ფაქტიურად მსოფლიო ოკეანეების ერთპიროვნული მბრძანებელია. მას უკვე ჩამოცილებული ჰყავს ყველა ძირითადი კონკურენტი ზღვაზე. ბევრისათვის გაუგებარი რჩება, თუ რატომ დაიწყო ეს რევოლუცია მაინცადამაინც ინგლისში და არა ვთქვათ გერმანიაში¹. ამაზე პასუხის გასაცემად გავისხენოთ, რომ აბრეშუმის გზამ არსებობა შეწყვიტა მე-17 საუკუნეში, მაშინ როცა ათვისებული იქნა ახალი საზღვაო გზა აფრიკის შემოვლით ჩინეთსა და ინდოეთში. იგი ბევრად უფრო გრძელი იყო, ვიდრე სახმელეთო გზა. ეს კი მოწმობს იმას, რომ მეზავრობა ხმელეთით ბევრად უფრო

მოუხერხებელი იყო, ვიდრე ზღვით. ასე, რომ ნაოსნობის და გემთშენებლობის განვითარებამ გამოიწვია უფრო მოსახერხებელი ტრანსპორტის გამოყენება ვაჭრობისათვის. ნაოსნობის განვითარებამ, როგორც კომუნიკაციის უფრო მოსახერხებელმა საშუალებამ, სავაჭრო ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახადა. აქედან კი იოლად შეიძლება იმის მიხედვით, რომ ვაჭრობაში და შედეგად კომერციაში ის ხალხი დახელოვნდებოდა ყველაზე ადრე და უკეთ, ვისაც ნაოსნობა ჰქონდა ყველაზე მეტად განვითარებული. ასეთი, რა თქმა უნდა კუნძულოვანი ინგლისი იყო. ზემოთ ვაჩვენეთ, თუ როგორ იწვევს ვაჭრობა და კომერცია ინოვაციების აღმოჩენისა და მისი ცხოვრებაში დანერგვის დაჩქარებას. სწორედ ამას უნდა შეექმნა ის წინაპირობა ინგლისში, რამაც გამოიწვია ინდუსტრიული რევოლუცია ყველაზე ადრე და მაინცდამაინც ინგლისში. ინგლისის გაძლიერებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მე-11 საუკუნეში ნორმანების (ვიკინგების) მიერ დაპყრობის შემდეგ იგი არავის დაუპყრია. ამას მისი კუნძულოვანი და პერიფერიული მდებარეობა უწყობდა ხელს.

აქვე შეიძლება ციტატის მოყვანა ა. მოვსესიანისა და ს. ოგნიცევის წიგნიდან²: „ეკონომიკურ ისტორიაში შეიმჩნევა მკაფიო კანონზომიერება - რაც უფრო უკეთესია ეკონომიკის მდგომარეობა, მით უკეთესია გზები და, პირიქით.“ ეს შესაძლოა იმიტომ ხდება, რომ კარგი გზები, ისევე როგორც ტრანსპორტი, თუ სხვა განვითარებული კომუნიკაციის საშუალებები ხელს უწყობს ვაჭრობის ინტენსიფიკაციას და აქედან გამომდინარე კომერციას. ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკის აღმავლობას უწყობს ხელს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ცივილიზაციურ რესურსსა და ტრადიციებს შეუძლია დააჩქაროს, ან შეაფერხოს ხალხის განვითარება. ამის მაგალითია იაპონია. იაპონიაში მე-18 საუკუნემდე ზღვაში გასვლა იკრძალებოდა, რაც აფერხებდა ამ ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებას. ხოლო ისლამი კი აფერხებს საბანკო საქმის განვითარებას, რადგანაც სესხის პროცენტით გაცემას კრძალავს. შეიძლება ამ მაგალითების კიდევ გაგრძელება, მაგრამ აქ ყველაზე თვალშისაცემი მაგალითები მომყავს. ცივილიზაციური რესურსების მნიშვნელობის საკითხი ძალიან კარგად აქვთ განხილული ა. მოვსესიანსა და ს. ოგნიცევს თავიანთ წიგნში³.

ამერიკის აღმოჩენასა და ესპანელების მიერ ამერიკიდან ოქროს ჩამოტანამ მთელი ევროპის ყურადღება ამერიკისაკენ მიაპყრო. დაიწყო

1) ა. დუგინი, „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, „მთაწმინდელი“, თბილისი, 1999. გვ.393
2) ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნიცევი „მსოფლიო ეკონომიკა“, ტ. 1. თბილისი, 2004. გვ.231
3) ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნიცევი „მსოფლიო ეკონომიკა“, ტ. 1-2 თბილისი, 2004.

ოქროს ციებ-ცხელება. გამდიდრების მსურველები ევროპიდან ამერიკისაკენ დაიძრნენ. ამ პირველმა ევროპელებმა, რომელიც უცხო კონტინენტზე გადასახლების რისკს ოქროსა და გამდიდრების სურვილის გამო სწევდა, შექმნა პირველი ევროპული დასახლებები და გააადვილა ევროპიდან შემდეგი ემიგრანტების გადმოსვლა. ამან

საბოლოოდ ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობის შევიწროება და განადგურება გამოიწვია. სწორედ ასეთი აუციტაჟის არ არსებობამ გადაარჩინა აფრიკელი მოსახლეობა განადგურებას და აფრიკა ევროპელებით მასიურად დასახლებას. ისტორიულად აფრიკული და ევროპული ცივილიზაციების გამყოფი ხმელთაშუა ზღვა კი არა საჰარის უდაბნო იყო.

დღეს ოქროზე უფრო სტრატეგიული ნედლეული ნავთობია. იგი დღევანდელ მსოფლიოში ბევრი კონფლიქტის მიზეზია. აქვე მინდა ქართველ მკითხველს შევახსენო, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე თავმოყრილია ნავთობის მსოფლიო მარაგების 60%, ხოლო აზერბაიჯანის ნავთობის მარაგი კი მას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. ამ საკითხს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ქართველების გარკვეულ ნაწილს გადაჭარბებული ილუზიები გააჩნიათ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. იგი ვერ იქნება საქართველოს უსაფრთხოების გარანტი, ისე როგორც აბრეშუმის გზა არ ყოფილა ჩვენი უსაფრთხოების გარანტი.

ასე იყო, თუ ისე, ამერიკა ევროპელებმა აითვისეს. ახლა იგი ცივილიზებული სამყაროს პერიფერია გახდა და ევროპისაგან ოკეანით იყო დაცული და დაშორებული. სწორედ ამან შეუწყო ხელი თავიდან ამერიკულ კოლონიებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ხოლო შემდეგ კი აშშ-ს გაძლიერებას. აქაც შეიძლება დაისვას კითხვა ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები ხალხებიდან, რატომ მაინცადამაინც აშშ განვითარდა ყველაზე სწრაფად? როგორც ვიცით, ისინი ინგლისიდან გამდიდრებისათვის ჩამოსახლებული ადამიანებისაგან შედგება. ინგლისში კი კომერცია ყველაზე მეტად იყო განვითარებული. ეს იყო ხალხი, რომელთაც აშშ-ში გადმოიტანეს ყველაზე განვითარებული კომერციული სული. ეს კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტექნოლოგიური და ეკონომიკური დაწინაურების. პერიფერიაზე, მტრებისაგან დაცული აშშ საკამოდ მოძლიერდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნელ-ნელა მსოფლიოზეც გაბატონდა.

მიუხედავად საფრანგეთისა და გერმანიის არაერთი მცდელობისა მათ ვერ მოახერხეს დიდი იმპერიების შექმნა. გავიხსენოთ, რომ ბოლო საუკუნეებში, როცა ევროპის ყველა ხალხი საკმარისად განვითარდა, გერმანია ცივილიზებული ევროპის შუაგული გახდა. შუა მდებარეობა კი, როგორც ისტორია ამტკიცებს, არ უქმნის ხელსაყრელ საგარეო ვითარებას ქვეყანას. იმის გამო, რომ ცივილიზებული ერებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში მდებარეობენ, არც ერთ ევროპულ ქვეყანას არ მიეცა საშუალება ევროპაშივე გაფართოებულიყვნენ.

ევროპაში იყო კიდევ ერთი ძლიერი იმპერია, ავსტრიელი ჰაბსბურგების იმპერია, რომელიც ევროპის შუაგულში მდებარეობდა. იგი ფაქტიურად ზემოთ განხილული წესიდან გამონაკლისია. მის შემთხვევაში იმის თქმა შეიძლება, რომ მან თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ომებით კი არა, არამედ მისი მართველი, ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენელთა ხელსაყრელი ქორწინებებით შეიერთა და ასეთი გზით უბრძოლველად გაძლიერდა.

ავსტრიელი ჰაბსბურგების იმპერია მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სწორი დიპლომატიით და წარმატებული პოლიტიკით, გეოპოლიტიკურად არახელსაყრელ პირობებშიც გაძლიერდეს სახელმწიფო. ამ იმპერიამ საკმაოდ დიდ ხანს იარსება, პირველ მსოფლიო ომამდე.

გერმანელი გეოპოლიტიკოსი კარლ შმიტი ამბობს¹: კ.მარქსმა „თავისი მოსაზრებები აიყვანა უნივერსალურ მსოფლიო ისტორიულ დოქტრინამდე და ჩამოაყალიბა „კლასობრივი ბრძოლის“ გაიოლებული თეზისი, მაშინ როცა სინამდვილეში საუბარი იყო მხოლოდ ინდუსტრიულ რევოლუციის კონკრეტულ მომენტზე, რომელიც უკავშირდება რკინიგზის, ტელეგრაფისა და ორთქლის მანქანის გამოგონებას“. ჩვენი აზრით, კი გერმანელი და რუსი გეოპოლიტიკოსები მარქსივით ჩქარობენ და საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ კი სატრანსპორტო საშუალებების განვითარების (შინაური ცხოველების გამოყენებით გადაადგილების ნაცვლად საოკეანო ნაოსნობაზე გადასვლამ, მსოფლიოს კომერციალიზაცია გამოიწვია. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ კი, გლობალიზაციის პროცესები დააჩქარა, რადგანაც გაადვილა და უფრო ინტენსიური გახდა მსოფლიოს სხვასხვა ხალხების კომერციული ურთიერთობები.) შედეგად მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს მიაწერენ, მათი აზრით, უნივერსალურ მსოფლიოს ისტორიული განვითარების მთავარი კანონზომიერებას, სახმელეთო და საზღვაო ცივილიზაციების დაპირისპირებისა და დუალიზმის კანონს. ხოლო ინგლისისა და შემდეგ კი აშშ-ს, როგორც „საზღვაო ქვეყნების“, დროებით გაძლიერებას მიიჩნევენ ამ დაპირისპირების ერთერთ ეტაპად, რომელიც „საზღვაო ძალების“ დროებითი გამარჯვებით დამთავრდა. შუა მდებარეობა მიაჩნიათ გეოპოლიტიკურ უპირატესობად, რის გამოც გერმანიამ, როგორც ევროპის შუაგულმა, ხოლო რუსეთმა, როგორც ევრაზიის შუა მდებარე სივრცემ უნდა შემოიკრიბოს მის გარშემო არსებული სახელმწიფოები, რომ დაამარცხონ დროებით გაძლიერებული საზღვაო ცივილიზაცია, რადგანაც, თითქოს, ისტორიულად საბოლოო გამარჯვება სახმელეთო ცივილიზაციებს ეკუთვნით.

ჩემი აზრით, კი ხმელეთსა და ზღვას არაფერი აქვთ გასაყოფი. განა შეიძლება ორი განსხვავებული რამ მაშინვე, რაიმე სერიოზული დასბუთების გარეშე, ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულად გამოაცხადო და შემდეგ მარქსივით უნივერსალური მსოფლიო ისტორიული დოქტრინები ჩამოაყალიბო იმისათვის, რომ მსოფლიოში შენი გამორჩეული მდგომარეობა ამტკიცო, რათა შემდეგ მსოფლიო იმპერიის შექმნის უფლება დაასაბუთო. რუსებს ასეთმა აჩქარებამ ერთხელ რევოლუცია მოახდენინა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა გაუმართლებელი. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება და ადამიანებს შორის ურთიერთობათა გაადვილება ადრე, თუ გვიან უეჭველად გამოიწვევდა სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსიფიკაციას და ცივილიზებული სამყაროს კომერციალიზაციას, მიუხედავად იმისა საზღვაო იქნებოდა იგი, თუ სახმელეთო, კუნძულოვანი, თუ კონტინენტური. ამასთან, როგორც მსოფლიო ისტორიის ანალიზი

გვიჩვენებს შუა მდებარეობა სულაც არ წარმოადგენს გეოპოლიტიკურ უპირატესობას.

დღეს ახალმა ტექნოლოგიებმა ისტორია ძალიან დააჩქარა, მსოფლიო ძალიან დააპატარავა. აღარ დარჩა დედამიწის ზურგზე პერიფერიული ტერიტორიები, ამიტომ ალბათ მომავალში ვერცერთი ქვეყანა ვერ განვითარდება ისე, რომ სხვებს შეუმჩნეველი დარჩეს მისი გაძლიერება და მეზობლებისაგან დაცული იყოს. აშშ-ს ეპოქის გავლის შემდეგ ალბათ ვერცერთი ქვეყანა ვეღარ მოახერხებს ერთპიროვნულად მსოფლიოზე გაბატონებას. ამის გაკეთება მხოლოდ ალიანსებად და ბლოკებად გაერთიანების შემთხვევაში იქნება

1) ა. დუგინი, „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, „მოაწმინდელი“, თბილისი, 1999. გვ.391

შესაძლებელი. ალბათ არც ერთ პოლუსიანი იქნება მსოფლიო, რადგანაც ყოველთვის დარჩებიან მსოფლიოს გადანაწილებით უკმაყოფილო ძლიერი ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც დაპირისპირებულ ბლოკებს შექმნიან. ამასთანავე ისტორიის დაჩქარება გამოიწვევს სწრაფად ცვლად რეალობებს და ეს ბლოკები ხშირად დაიშლებიან და ახალ ბლოკებად გადანაწილდებიან. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. პოლიტიკაში კი წინასწარმეტყველებები იშვიათად სრულდება.

როგორც ვხედავთ, საქართველო თავიდანვე ცივილიზაციის შუა გულში იყო. ამასთანავე მისი მიწა თავისი ბუნებრივ კლიმატური პირობების გამო თითქმის ყველა დამპყრობლისათვის სანუკვარი იყო. ზღვის სანაპირო ტერიტორიები ბევრი რამით იყო მომხიბვლელი. ჯერ ერთი თბილი და ნოტიო ჰავა იყო, რაც პრიმიტიული ადამიანებისათვის აქ ცხოვრებას ბევრად უფრო აიოლებდა. მიუხედავად ტექნოლოგიების დახვეწისა, ცივი და უდაბნო მიწები მაინც ბევრად ცუდი იყო სამხრეთულ და ზღვისპირა მიწებთან შედარებით, დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებშიც კი ასეთად რჩება.

მე-20 საუკუნეში გეოპოლიტიკოსების მიერ დამუშავებული თეორიებით (მაკკინდერისა და მეკენის) კი ევრაზიის საზღვაო ნაპირზე კონტროლის განხორციელება დღესაც უმნიშვნელოვანეს პირობად რჩება მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. ასე, რომ ევრაზიის სანაპირო ზონა, ანუ როგორც გეოპოლიტიკოსები უწოდებენ „რიმლენდი“ მთელი ისტორიის მანძილზე იყო ყველა დამპყრობლის ინტერესის საგანი. ადრე უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო, ახლა კი უმთავრესად გეოპოლიტიკური მოსაზრებების გამო. ასე, რომ საქართველო დასაბამიდან დღემდე ისევ მსოფლიო პოლიტიკური სცენის შუაგულშია. ჩვენ ჩვენი შუამდებარეობის გამო მუდმივად გვიწევდა თავდასხმების მოგერიება. თანაც, არც რელიეფი არ გააძლიერდა გამრავლებისა და გაფართოების საშუალებას.

როგორც ისტორიიდან ჩანს, ჩვენ არასდროს გვექონდა ხანგრძლივი დროით კეთილსასურველი საგარეო ვითარება და ალბათ არც არასდროს გვექნება. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ეფექტურად უნდა

გამოვიყენოთ ჩვენი ყველა რესურსი, განსაკუთრებით კი ადამიანური და ინტელექტუალური. საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნების საშუალება, რომ მისმა მთავრობამ დრო დაკარგოს და ქვეყნის რესურსი უყაირათოდ მართოს. ამას ჩვენ ისტორია ძვირად დაგვისვამს. აქვე ვიტყვი, რომ ინტელექტუალური რესურსები მიდის იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარია. ეს განვითარებული ქვეყნების კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას იწვევს. ღარიბი ქვეყანა კი კიდევ უფრო ღარიბდება ინტელექტუალური რესურსების გადინებით. ამ ჩაკეტილ წრეს საბაზრო ეკონომიკა ვერასდროს ვერ გაწყვეტს. ეს შეიძლება მხოლოდ არასაბაზრო ძალის ჩარევით, ანუ სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკით მოხერხდეს. ამიტომ ასეთ გარდამავალ პერიოდში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი. თითქმის ყველა მაღალ განვითარებული სახელმწიფო ღრმა კრიზისებიდან მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევით გამოდიოდა და არა ბაზარზე დაყრდნობით.

რ ე ზ ი უ მ ე

გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა მსოფლიოს ხალხთა და კერძოდ საქართველოს ისტორიაზე, პოლიტიკურ ძლიერებასა და დემოგრაფიაზე.

ზაზა წიქორიძე

ნაშრომში, განხილულია მსოფლიოს ბოლო 5 ათასწლიანი ისტორია და გამოკვეთილია მსოფლიოს განვითარების ის მთავარი ფაქტორები, რაც იწვევდა მსოფლიოს უდიდესი იმპერიების წარმოქმნასა და დაცემას. ამ ნაშრომში მსოფლიოს განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოსაყოფად უკულებელყოფილია ისტორიის ისეთი მომენტები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბის იმპერიების შექმნას და დაცემას არ იწვევდნენ და მხოლოდ ქვეყნებს შორის საზღვრების ცვლილებას ასახავდნენ. საქართველოს ისტორია კი შედარებით უფრო დაწვრილებით არის განხილული.

ამ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ის ხალხი ძლიერდება ყველაზე უფრო მეტად, ვისაც ხელსაყრელ საგარეო ვითარებაში დიდი ხნით უწევს ცხოვრება. ასეთი ვითარება კი ხშირად ცივილიზებული სამყაროს პერიფერიებზე მცხოვრებთ ექმნებათ ხოლმე. ამა, თუ იმ ხალხის გაძლიერებისათვის ხელის შემწყობი პირობა ცივილიზებული სამყაროს მიმართ პერიფერიული მდებარეობის გარდა, იმავდროულად ამ ცივილიზაციასთან სიახლოვეც არის. პერიფერიაზე მცხოვრები ხალხი განვითარებული ხალხისაგან იძენს საჭირო ცოდნას, იყენებს მას, ძლიერდება და შემდეგ თვითონ იწყებს ცივილიზებული ქვეყნების

დაპყრობას. ამით ხშირად ხელს უწყობს ცივილიზაციის გავრცელების არეალის გაფართოებას. შემდეგ გაფართოებული ცივილიზაციის პერიფერიაზე სხვა ქვეყანა აღმოჩნდება. ისიც იგივენაირად ძლიერდება და ასე გრძელდება 21-ე საუკუნემდე. დღევანდელ მსოფლიოში, კი ძველი კანონი აღარ იმოქმედებს, რადგანაც ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოს დაპატარავება გამოიწვია. დედამიწაზე აღარ დარჩა დანარჩენი მსოფლიოსაგან დაცული პერიფერია.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზი უნიკალურია თავისი პირობებით, რაც ამ რეგიონში მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ცივილიზაციის ჩამოყალიბების მიზეზად იქცა. ამგვარად ნაჩვენებია, რომ ცივილიზაციის ცენტრი სწორედ ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარეობდა. ისტორიის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ცენტრალური მდებარეობა გეოპოლიტიკურად არახელსაყრელია და ცივილიზაციის ცენტრში მყოფ ხალხს ბევრი დამპყრობლის მოგერიება უხდებოდა. ის ხალხი, რომელიც გარკვეული პერიოდი ცივილიზაციის პერიფერიაზე ცხოვრობდა და ძლიერდებოდა როგორც პოლიტიკურად, ისე დემოგრაფიულად, უკეთ ახერხებდა შემდგომში დამპყრობელთა მხრიდან მიყენებული ზიანის (მათ შორის დემოგრაფიულსაც) მალე მოშუშებას.

საქართველო თავიდანვე მსოფლიო ცივილიზაციის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა. ამას ძველ დროში უნდა შეექმნა ხელსაყრელი პირობა დემოგრაფიული და პოლიტიკური გაძლიერებისათვის, მაგრამ კავკასიონის ქედი არ იძლეოდა საშუალებას ქართველები ჩრდილოეთით ნაკლებად განვითარებული ხალხების შევიწროების ხარჯზე გაძლიერებულიყო, როგორც ამას პრაქტიკულად ყველა სხვა დიდი იმპერიის შემქმნელი ხალხი აკეთებდა. ამდენად პერიფერიულ მდებარებასთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა რელიეფსაც ჰქონდა. ზემოთ მოყვანილმა მიზეზებმა გამოიწვია ის, რომ საქართველოს არასდროს მოკლებია დამპყრობები, რაც ქართველთა სიმცირის მთავარი მიზეზი გახდა.

ნაშრომში ასევე ნაჩვენებია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ჯერ ინგლისის, ხოლო ახლა აშშ-ს გაძლიერება „საზღვაო ცივილიზაციის“ „სახმელეთოზე“ გამარჯვების დროებითი გამოვლინება კი არ არის, როგორც ამას გერმანელი და რუსი გეოპოლიტიკოსები ამტკიცებენ, არამედ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების კანონზომიერი შედეგია.

РЕЗЮМЕ

Влияние географического расположения на историю, на политическую мощь и демографию народов мира и, в частности, Грузии

Заза Цикоридзе

В настоящем труде рассмотрена последняя 5-ти тысячелетняя мировая история и выявлены те основные факторы развития мира, которые вызывали возникновение и падение великих империй. В данном труде, для выделения самых значительных факторов мирового развития, обойдены явления которые непосредственно не приводили к возникновению, или к падению империй мирового масштаба, а только отражали изменения границ между странами. Только история Грузии рассмотрена Сравнительно детально.

В этом труде показано, что крепнет более всех тот народ, которому длительное время пришлось жить в благоприятных условиях. А такие условия чаще всего возникали у тех народов, которые жили на периферии цивилизованного мира. Подобное расположение на окраине цивилизации одновременно близостью с этой цивилизацией, является благоприятным условием могущества того, или одного народа,. Живущий на периферии народ перенимал от развитых народов необходимые знания, использовал их, креп, и потом сам начинал расширять цивилизационный ареал. Далее на периферии расширенной цивилизации появлялся другая страна. Она крепла таким же образом, и так длится до 21-го века. В сегодняшнем мире этот старый закон уже не работает, поскольку развитие технологии вызвало уменьшение мира. На земле не осталось периферии, защищенной от остального мира.

В труде показано, что средиземноморский регион уникален по своим условиям, что явилось причиной формирования самой быстроразвивающейся цивилизацией. Таким образом, показано, что центр цивилизации находился именно в средиземноморском бассейне. На историческом примере показано, что центральное положение геополитически невыгодно и что народу, находящемуся в центре цивилизации, приходилось воевать с множеством завоевателей. Тот народ, который на протяжении определенного времени проживал на периферии цивилизации, креп как политически, так и демографически, поэтому в дальнейшем он мог быстрее справиться с нанесенным ему врагом ущербом (в том числе, демографическим).

Грузия изначально располагалась в непосредственной близости от мировой цивилизации. В древнее время это должно было способствовать возникновению благоприятных условий для демографического и политического укрепления, но Кавказский хребет не давал возможности грузинам окрепнуть за счет притеснения менее развитых народов, живущих севернее, как это практически делали все народы – создатели больших империй. Таким образом, наряду с периферийным положением определенную роль играл и рельеф. Вышеуказанные причины вызвали наличие у Грузии множества завоевателей, что явилось главной причиной малочисленности Грузин.

В труде также показано, что в современном мире укрепление вначале Англии, а затем США, является не временным проявлением победы «морской цивилизации» над «сушей», как это утверждают немецкие и русские геополитики, а закономерным результатом развития транспортных и коммуникационных средств.